საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/77

ქ. ბათუმი 22 სექტემბერი, 2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების, მიმღები და საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47 [2] მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის № 75 დადგენილების, ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 სექტემბრის N86 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 6 თებერვლის N01-08/7 ბრძანების და განათლების ფაკულტეტის დეკანის, მ. მიქელაძის 2017 წლის 21 სექტემბრის 1121605 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმღებ კომისიაში, 2017 წლის 25 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, პირველი კორპუსი, ოთახი №49.
3. აპლიკანტმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **დანართი 1-ის** და დანართი 2-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;

გ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

4. **მისაღები გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 29 სექტემბერს** (გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} საათი) ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, საგამოცდო ცენტრში (მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12).

4.1.1. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 2 ოქტომბერს;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებები წარმოდგენილი იქნეს 2017 წლის 3 ოქტომბერს, მიმღებ კომისიაში.

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაიცეს 2017 წლის 4 ოქტომბერს.

5. გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2017 წლის 5 ოქტომბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
6. გამოცდაზე დასასწრებად აპლიკანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება).
7. შეიქმნას განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტაციის მიმღები კომისია №3 დანართის შესაბამისად.
8. მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისია №4 დანართის შესაბამისად.
9. მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას გამოცდების საპრეტენზიო კომისია №5 დანართის შესაბამისად.
10. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის № 75 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

11. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 5 ოქტომბერს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე.
12. დაევალოს კანცელარიას ბრძანება განათავსოს კანცელარიასთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
13. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები“, რექტორის ბრძანებებში და ასევე განათლების ფაკულტეტის ველში).
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამარ სირაძე**

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტის

რექტორს, _____

_____

(სახელი, გვარი)

_____

(მისამართი, ტელეფონი)

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილიმაქვსსწავლაგავაგრძელო,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტის“განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოპროგრამის მოდულზე

_____

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის
მითითებით

_____ „_____“ „_____“ 201 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი ___/____/_____

რიცხვი თვე წელი

პირადი ნომერი_____

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი:□ მამრობითი □ მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით ----------

---

საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, სპეციალობა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

- ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_____

ვადასტურებმითითებულიინფორმაციისადაწარმოდგენილიდოკუმენტაციისსისწორეს. ჩემთვისცნობილიამასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზემიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

დანართი№ 3

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღები კომისია

1. ციცაგი ზესიკ
2. ჯვართავა შოთა
3. თადუმაძე ქეთევან

დანართი № 4

საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

1. პროფესორი გული შერვაშიძე - თავმჯდომარე
2. ასოცირებული პროფესორი - ნანა მაკარაძე
3. პროფესორი ლელა თავდგირიძე
4. ასოცირებული პროფესორი - ნათია ფარტენაძე
5. ასისტენტ პროფესორი ქეთევან შოთაძე
6. ასისტენტ პროფესორი ნანა მამულაძე - მდივანი

დანართი№5

საპრეტენზიო კომისია

1. საპრეტენზიოკომისიისთავმჯდომარე - განათლების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი მ. მიქელაძე
2. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი
3. ასისტენტ პროფესორი მარინე გურგენიძე